საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არადეთი

არადეთის წმინდა გიორგის ეკლესია. VIII-IX სს. რესტავრირებულია 1970-იანი წლების ბოლოს

არადეთი, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტის ბრეთის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ. აღმოსავლეთის ფრონის მარჯვ. ნაპირას, ქარელ–გორის საავტ. გზაზე. ზ. დ. 660 მ, ქარელიდან 7 კმ. 432 მცხ. (2014).

ა. იხსენიება XI ს-ში განძის ამირა ფადლონისა და ბაგრატ IV-ის ბრძოლებთან დაკავშირებით. ამ ბრძოლაში მხარდაჭერისათვის ბაგრატ IV-მ ა. კახთა მეფე აღსართან I-ს უბოძა. 1483 ა-ის მიდამოებში ერთმანეთს შეებრძოლნენ კონსტანტინე II-ის მომხრეები და ყვარყვარე ათაბაგი (იხ. არადეთის ბრძოლა 1483). XV–XVI სს-ში ა. საამილახვროში შედიოდა. XVII ს.დასაწყისში თეიმურაზ I-მა ა. მოღალატე ანდუყაფარ ამილახვარს ჩამოართვა და სახასოდ აქცია. 1794 ერეკლე II-მ ა. თავად წერეთელს უბოძა.

სოფელში შემონახულია რიყის ქვით ნაგები XVII ს. ციხე-დარბაზის კომპლექსი. გადარჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთის კედელი 4 კოშკით, მათგან უკეთეს მდგომარეობაშია სამხრ.-აღმოსავლეთისა, რ-იც ოთხსართულიანია და საცხოვრ.-თავდაცვით ფუნქციას ასრულებდა. ციხის ჩრდ.-აღმ. კუთხეში გამოყენებულია ეკლესიის კედელი და აგებულია ორი კოშკი, მათგან ერთი ცილინდრულია, მეორე – ოთხკუთხა (ძლიერ დაზიანებულია). გალავნის შუაში კიდევ ერთი ნახევრად ცილინდრული კოშკის ნაშთია. წყალი მდ. ფრონიდან გვირაბის მეშვეობით ამოჰქონდათ. ციხის ჩრდ.-აღმ. მხარეს კლდის ქვით ნაგები წმ. საბას სახელობის (ახლა შიგნით და გარეთ შეთეთრებული)

ერთნავიანი ეკლესიაა. მხოლოდ საკურთხევლის კონქშია მაცხოვრის ფრესკა და ასომთავრული წარწერა. სამხრ. კარიბჭის წარწერიდან ირკვევა, რომ ეკლესია 1666 ვახტანგ V-ის მეუღლეს მარიამ დედოფალს აუშენებია.

ა-ის სამხრ.-აღმ-ით ერთნავიანი ეკლესიის – „სალარიანთ საყდრის“ ნანგრევებია (გვიანდ. შუა საუკ.). ჩრდ-ით დგას წმ. გიორგის VIII–IX სს. ერთნავიანი ეკლესია. ძეგლი რესტავრირებულია XX ს. 70-იანი წლების დასასრ. (პროექტის ავტორი არქიტ. ი. ვარსიმაშვილი, ხელმძღვ. რ. გვერდწითელი). ა-ში ნაპოვნია ანტ. ხანის მოოქრული თაბაშირის ქალღმერთის მცირე ზომის ქანდაკების თავი. ა-ში აღმოჩნდა აგრეთვე ქვაჯვარის კვარცხლბეკი, რ-ის X–XI სს. წარწერაში მოხსენიებული არიან „მარადელნი მამასახლისნი“ (დაცულია საქართვ. სახელმწ. მუზეუმში). იხ. აგრეთვე არადეთის ორგორა და დედოფლის მინდვრის არქეოლოგიური ძეგლები.

ლიტ.: ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1973; ლ ო მ ი ტ ა შ ვ ი ლ ი დ., არადეთი, წგ.: მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ნაკვ. 1, თბ., 1982; მა კ ა ლ ა თ ი ა ს., ფრონის ხეობა, თბ., 1963.

ჯ. გვასალია

ი. გაგოშიძე